ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **17-01180651524**

თარიღი: **06.03.2018**

ადრესატი:
ლევანი ოქროპირიძე
პირადი ნომერი: 35001052365
მისამართი: რუსთავი XVII მ/რ კორ. 17 ბ. 59

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25^1-ე მუხლის, ,,ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტის, მე-6^2 მუხლის, ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25^1 მუხლით გათვალისწინებული მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მოსაკრებლის შემოღების, მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-97 დადგენილების შესაბამისად;

,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25^1 მუხლით გათვალისწინებული მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მოსაკრებლის შემოღების, მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-97 დადგენილების დამტკიცებული დანართით განსაზღვრული წესით სამსახურისათვის განცხადებით მომართვის შემთხვევაში სამსახური აცხადებს თანხმობას განახორციელოს სახელმწიფო-ტენიკური ზედამხედველობის მომსახურება და გასცეს შესაბამისი რეკომენდაცია შემდეგ სამშენებლო ობიექტზე:

შენობა-ნაგებობის მისამართი: ქ. თბილისი, სექტორი - საბურთალო, , ქუჩა საირმის , N 37 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ბურძგლა , N 48ა / ქალაქი თბილისი , ქუჩა საირმე , N 37ა / ქალაქი თბილისი , ქუჩა საირმის , N 39 , (ნაკვ.24/17)

შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება: სასტუმრო

შენობა-ნაგებობის კლასი: IV

მომსახურების ფორმა: 4 შემოწმება

სხვაობა მოსაკრებლის ოდენობებს შორის: 3500 ლარი

სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელ ი

მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო

მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი: TRESGE22

საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773194

გადახდის დანიშნულება: სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მოსმსახურების მოსაკრებელი.

მომსახურების ვადების გამოთვლის წესი

1. სამსახურის მიერ მომსახურების განხორციელებისთვის, განსაზღვრულ ვადებში არ იანგარიშება კარონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეები.

2. ვადის ათვლა იწყება განცხადების სამსახურში რეგისტრაციის და თანხის სრულად გადახდის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღეს. თუ ვადის ბოლო დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

3. განხორციელებული მომსახურების დროს, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი'' საფუძველზე გაცემული რეკომენდაციით განსაზღვრული ვადები გამოითვლება კალენდარული დღეებით.

4. სამსახურის მიერ მომსახურების განხორციელებაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში დამკვეთი ვალდებულია წარმოადგინოს გადახდილი მოსაკრებლის დამადასტურებელი დოკუმენტი, რის შემდეგაც მომსახურება დანიშნულად ითვლება.

გადახდილი მოსაკრებლის დაბრუნების წესი და ზიანის ანაზღაურება

1. თუ მოსაკრებელი გადახდილია დადგენილ განაკვეთზე მეტი ოდენობით, მოსაკრებლის გადამხდელს უბრუნდება სხვაობა მის მიერ გადახდილ თანხას და დადგენილ განაკვეთს შორის;

2. გადახდილი მოსაკრებელი მთლიანად ბრუნდება, თუ:

ა) დაინტერესებული პირი განცხადების წარდგენამდე მოითხოვს თანხის უკან დაბრუნებას;

ბ) სამსახურმა უარი განაცხადა მომსახურების გაწევაზე

3. თუ დაინტერესებულ პირს სურვილი აქვს ისარგებლოს მომსახურების სხვა ფორმით, რომლისთვისაც გათვალისწინებულია მოსაკრებლის სხვა ნაკლები ოდენობა, მაშინ დაინტერესებულ პირს დაუბრუნდება სხვაობა ამ ორ მოსაკრებლის ოდენობას შორის. ასეთ შემთხვევაში, განცხადება სხვა ფორმით სარგებლობის შესახებ წარდგენილი უნდა იქნეს პირველადი განცხადების განხილვის ვადის დასასრულამდე.

4. თუ დაინტერესებულ პირს სურვილი აქვს ისარგებლოს მომსახურების სხვა ფორმით, რომლისთვისაც წესი გათვალისწინებულია მოსაკრებლის სხვა მეტი ოდენობა, მაშინ დაინტერესებული პირი ვალდებულია გადაიხადოს სხვაობა ამ ორ მოსაკრებლის ოდენობას შორის. ასეთ შემთხვევაში, განცხადება და მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი/დოკუმენტი ან სხვა ინფორმაცია სხვა ოდენობით სარგებლობის შესახებ წარდგენილი უნდა იქნეს პირველადი განცხადების განხილვის ვადის დასასრულამდე.

5. განმცხადებელს მომსახურებისთვის გადახდილი მოსაკრებელი უკან არ დაუბრუნდება თუ სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მოსახურების პროცესი შეწყდება ვადაზე ადრე:

ა) დამკვეთის მოთხოვნით;

ბ) იმ შემთხვევაში. თუ დამკვეთმა რაიმე ფორმით თავად შეუშალა ხელი სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების პროცესს ან/და მის განმახორციელებელ უფლებამოსილ ორგანოს წარმომადგენელს;

გ) რეკომენდაციის შეუსრულებლობის შემთხვევაში, თუ სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის პროცესი ერთის გარდა სხვა შემოწმებას არ ითვალისწინებს ან/და ადგილი აქვს მომსახურებით გათვალისწინებულ ბოლო შემოწმებაზე გაცემული რეკომენდაციის შეუსრულებლობას.

6. გადახდილი მოსაკრებლის ნაწილობრივ ან მთლიანად უკან დაბრუნება ან მისი გამოყენება იმავე ან სხვა მომსახურების ფორმისთვის ხორციელდება გადამხდელის განცხადების საფუძველზე, რომელიც წარდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი საფუძვლის წარმოშობიდან არა უგვიანეს 3 თვის განმავლობაში. მოსაკრებლის დაბრუნების მოთხოვნის შესახებ, განცხადებას თან უნდა ერთოდეს გადახდილი თანხის ნაწილობრივ ან მთლიანად დაბრუნების კანონიერი საფუძვლის არსებობის დასაბუთება, თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი და დასაბრუნებელი თანხის მისაღებად გამოყოფილი ანგარიშის ნომერი. 3-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ, თანხის უკან დაბრუნების ან მისი სხვაგვარად გამოყენების შესახებ მოთხოვნა დაკმაყოფილებას არ ექვემდებარება.

7. გადახდილი მოსაკრებლის მთლიანად ან ნაწილობრივ დაბრუნებასთან დაკავშირებული საბანკო მომსახურების ტარიფის გადახდა ეკისრება მოსაკრებლის გადამხდელს.

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური -
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის მოადგილე (საქალაქო
სამსახურის უფროსის მოადგილე) გიორგი გეჯაძე